შიკრიკი

გაზეთი თავის მიზნათ ისახავს—ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის კლასიურ ინტერესების დაცვას.

ქუთაისი
პარასკევი, 14 ივლისი.
1906
წელიწადი პირველი.
ცალკე № 3 კაპ.

№ 5. ყოველ-დღიური გაზეთი № 5.

პეტერბურგში, ისევ შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭო.—ვეიდენი, სტახოვიჩი და ... ბით მიმართვენ ხალხს. რომ ... მომავალ არჩევნებამდე.—მთავრობა ხურავს პროგრესიულ გაზეთებს. მოსკოვში დაატუსაღეს სოციალ-რევოლიუციონერთა კომიტეტი.

1906 წლის **9** ივლისიდან გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ვაზეთი

„შიკრიკი“

გაზეთის ფასი: 1 წლით 3 მ., 6 თვით 2 მ., 3 თვით 1 მ., ცალკე № 3 კ.
განცხადების ფასი: პირველ გვერზე 1 სტრიქონი 15 კ. მეოთხეზე—10 კ.
რედაქცია მოთავსებულია ბალაჯანის ქუჩაზედ, ალ. მხეიძის სახლებში № 5.
ფოსტის ადრესი: Кутаисъ редакція „Шикрики“

მიტროფანე ლაღიძემ, გადასწყვიტა თავის ცნობილ ქარხანას უფრო მეტი და ფართო სამრეწველო ხასიათი მისცეს, ამ მიზნით იგი აარსებს

ამხანაგობას

სელოკნურად შემზადებული მადნეულის-ხიდეულის წყლის, ყინულის ქარხნებისა და ელექტრონის სადგურისას ქ. ქუთაისში.

სახელ-წოდებით **„მიტროფანე ლაღიძის** და ამხ.“

მიზანი ამ ზემოხსენებული ამხანაგობისა არის:

1. შეიძინოს მიტროფანე ლაღიძისაგან მისი საკუთარი მინერალური-ხიდეულის წყლის და ყინულის ქარხნები და ელექტრონის სადგური სრული ინვენტარიით, მასალითა და საქონლით, რაიცა საჭიროა ზემოხსენებული ქარხნების და ელექტრონის სადგურისათვის; შეიძინოს აგრეთვე უფლება ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საიჯარო მიწაზე ლაღიძის მიერ აგებული ქვიტკირის შენობებზე მოიჯარადრის სრული უფლებებით და **ფართო ექსპლოატაცია უფროს ზემოხსენებულ სახელმწიფო დაწესებულებას.**

ოპერაციების გასაფართოებლად და წარმოების გასაადვილებლად ამხანაგობა საჭიროების მიხედვით, ხანის განყოფილებებს, როგორც ქუთაისში, ისე სხვა ქალაქებსა და ადგილებშიც. ამხანაგობის კაპიტალი (თანხა) ჯერ-ჯერობით განისაზღვრება 70,000 მანეთით, რომელიც დაყოფილია 700 წილათ (პაით) თითეული პაი ღირს 100 მანეთი.

ამხანაგობის დამაარსებელმა თავის პირველ-კრებაზე, რომელიც შესდგა 25 ივნისს 1906 წ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში, ბ. ვ. ი. ჭილაძის თავმჯდომარეობით და ნოტარიუსი ბ. ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით განიხილეს ამხანაგობის ხელ-შეკრულების პირობა (წესდება), რომელიც შესდგება სამოცი მუხლისაგან შეასწორეს ზოგიერთი მუხლები და შემდეგ ერთხმად მოწონებულ და მიღებულ იქმნა იქ დამსწრე ქუთაისის ვაჭრების კრებისაგან. კრებამ აირჩია ამხანაგობის დამაარსებელი კომისია, შემდეგ პირებისაგან: **ვ. ი. ჭილაძე, ფარნა ბეჟანის-ძე გაბუნია, ფილიპე სიმონის ძე ფილიპოვი, რაჟდენ ყარამანის-ძე დათეშაძე, ტ. გეელესიანი, ფილიპე ნიკოლოზის-ძე ჭელიძე, სიმონ იაკობის-ძე თევდორაძე, პეტრე იოსების-ძე გოკელოვი, ნიკიფორე მოსეს-ძე ჯანელიძე და მიტროფანე ლაღიძე.**

ზემოხსენებული ამხანაგობის დამაარსებელი წევრნი **სთხოვენ** ყველა იმ პირთ, ვისაც რაიმე მონაწილეობის მიღება სურს ხსენებულ ამხანაგობაში კეთილ ინებონ და მობრძანდენ კვირას 16 ივლისს, დილის 10 საათზე სწორეთ 1906 წელს ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში ამხანაგობის გამგეობის წევრთა ასარჩევათ და საქმეების დასაბოლოებლად.

ვინც მოისურვებს ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებას სრულ ამხანაგათ ანუ მხოლოთ პაის შეძენით, ყოველ-გვარ ცნობებს და ხელ-შეკრულობით პირს მიიღებენ ამხანაგობის დამაარსებელ კომისიის ერთ ერთი წევრისაგან, ამხანაგობის დამაარსებელნი და პაის **მყიდველნი** პასუხის მგებელნი არიან მხოლოდ და მარტო იმ ფულით, რაც შეტანილი ექმნებათ წილის ფასად. (3—1)

სამუშაოს მაძიებელთა

საყურადღებოდ!

ჭიათურის უსაქმოდ დარჩენილ მუშათა საბჭო ამით აცხადებს, რომ ჭიათურაში მრავლათ მოიყარა თავი უსაქმო მუშებმა და სამუშაო კი არ იშოვება.

ჭიათურის უს. მ. საბჭო.

ჭიათურაში

პირველ რიცხვიდან, მთავრობის ნებართვით, იხსნება პირველ დაწყებითი სასქელო სკოლა

მ. ა. ჩხეიძისა

თხოვნებს მსურველთაგან 25 აგვისტოდან მიიღებს ჭიათურაში სკოლის გამგე **მ. ა. ჩხეიძე.**

ქუთაისი, 14 ივლისი.

როგორც გუშინდელ წერილში გავარკვიეთ, დუმა თავის არსებობას დღეს ველარ განაგრძობს.

როგორი უნდა იყოს ამის და მიხედვით ჩვენი ტაკტიკა?

არის ჩვენ შორის ისეთი ამხანაგები, ეგრეთ წოდებული ბოლშევიკები, რომელთაც ყოველ ამ გვარ ტაკტიკურ კითხვაზე ერთი პასუხი აქვთ: ვემზადოთ გამოსვლისათვის.

მაგრამ ჩვენ ასეთი ზოგადი ფრაზა ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენთვის საჭიროა გარკვეული, დღის შესაფერი ტაკტიკა. მაშ რა უნდა ვაკეთოთ?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, საჭიროა ერთხელ კიდევ გათვალისწინება მისი, თუ რაა სოციალ დემოკრატიის დანიშნულება ამ რევოლიუციის დროს

ისტორია—ეს 'კლასთა ბრძოლაა. რევოლიუციის დროს კლასთა ბრძოლა უფრო გამწვავებულათ, ღრმათ და სიჩქარით წარმოებს. რევოლიუცია ამ ბრძოლაში ითრევს ყველას. ძნელია ისეთი კაცის შეხვედრა, რომელიც ადრე თუ გვიან ამ ბრძოლაში არ ჩაებას. ძალა უნებლიეთ ყველა იძულებული ხდება თავის მდგომარეობის შესაფერისი შეხედულება შეიმუშაოს და ესა თუ ის პოზიცია დაიჭიროს რევოლიუციის მიმართ: ან მიემხროს მას ან ეწინააღმდეგოს, წარმოუდგენელ სისწრაფით ხდება მასის გათვითცნობიერება. სოციალ დემოკრატიის ვალია კლასობრივი თვითშეგნება შეიტანოს ამ ბრძოლაში, პროლეტარული მასა ორგანიზაციულათ მოაწყოს, რაც აიძულებს სხვა და სხვა საზოგადოების ელემენტებს შეკავშირდენ. ამიტომ ჩვენ ორივე ხელებით უნდა მოვებღაუჭოთ მას, რაც ამ ჩვენ მიზანს ხელს უწყობს, ყოველი ჩვენი ნაბიჯი ამ თვალთა ხედვის ისრით უნდა განისაზღვრებოდეს. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ კითხვაზედაც პასუხის გაცემა ადვილია.

მთავრობასა და დუმის შორის მოხდა შეტაკება, რამაც დუმის გარეკა გამოიწვია, შეუწყობს თუ არა მასის გათვითცნობიერებას ამ მოვლენის გარკვევა, ახსნა იმისი თუ რამ გამოიწვია ეს კომფლიკტი?

რასაკვირველია კი.

მაშ ჩვენ დღესვე უნდა გადავიტანოთ ხალხში საკითხი დუმის შესახებ, უნდა აღვნუსხოთ დუმის მთელი მოქმედება დაწყებული მისი არსებობის პირველ დღიდან და გათავებული უკანასკნელი დღით. უნდა განმარტებულ იქნას ყოველი მომხდარი კონფლიქტი დუმასა და მთავრობას შორის, ამ რიგათვე უნდა გაირჩეს ჩვენი ფრაქციის მოქმედება დუმაში. უნდა ნაჩვენები იქნას ისიც თუ რა დიადი როლი ითამაშა დუმამ ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი პროპაგანდა, ჩვენი აგიტაცია დღეს დუმის გარშემო უნდა ტრიალებდეს.

ჩვენ კიდევ მეტს ვიტყვით. ისე უნდა ვაწარმოვოთ ჩვენი საქმე, რომ ხალხის მთელი ყურადღება დღეს დუმამ დაიკავოს, რომ თვით ხალხმა აიძულოს მთავრობა უკან წაიღოს თავისი სენატისადმი მიმართული ბრძანება და დუმა აღადგინოს. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ოპორტიუნიზმობას, კადეტების მაჩანჩალობას დაგვწამებენ, მაგრამ ჩვენ ასეთი ცხარე სიტყვები არ უნდა გვაშინებდეს.

მიუხედავათ ამისა საჭიროა მაინც გავარკვიოთ, თუ რათ ვუჭერთ დღეს ჩვენ მხარს ასეთ ტაკტიკას.

ერთ თავის წერილში კაუცკი ლაპარაკობს: „აქნამდე მთავრობის ერთ უდიდეს უპირატესობას შეადგენდა მისი ცენტრალიზაცია, რომელსაც ის წინ უყენებდა ცუდად შეკავშირებულ ადგილობრივ აჯანყებებს და გაფიცვებს. დუმაში რევოლიუციამ თავისი ცენტრი იპოვა“.

აი ამ რევოლიუციის ცენტრს ჩვენ საჭიროთ ვსთვლიდით წინედაც და ვსთვლით დღესაც.

ის საჭიროა მასის გათვითცნობიერებისა და მის ფეხზე წამოყენებისთვის ის საჭიროა, რომ დაქსაქსული და დაფანტული ხალხი ორგანიზაციულათ მოეწყოს და შეკავშირდეს. დუმა იძულებულია ამას ხელი შეუწყოს. იმის მუშაობით შეიძლება მთელი რუსეთის სივრცეზე—სხვა და სხვა ალაგებზე მოეწყოს ორგანიზაციები. აი საითკენ მიისწრაფის დუმის მოქმედება.

ეს ხალხის ფართო ორგანიზაციულათ შეკავშირების პროცესი უკვე დაიწყო. დუმის გარეკით მთავრობამ ის შეაჩერა. დუმის მაგიერობას ამ ჟამათ სხვა ვერაფერი გაწევს.

ამიტომ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მისი აღდგენა, რომ დუმისგან მჭიდროთ შეკავშირებულმა და მით უძლეველათ ქმნილმა მასამ მედგარი იერიში მიიტანოს როგორც თვითმპყრობელობაზე, **ისე თვით ამ დუმაზედაც.**

მაშ, დუმა მოკვდა, გაუმარჯოს დუმას.

ახალი ამბები.

—

*** **ქუჩის ცენზორი.** მეტად ენერგიულად მოქმედებს თურმე გოროდოვი ბანზალაძე, მას თავის საპატიო მოვალეობის გარდა, ქუჩის ცენზორობაც დაუწყია! აი როგორ ცნობას აწვდიან ჩვენს რედაქციას ამ ვაჟბატონის შესახებ: 12 ივლისს 9 საათზე დაუჭერია და „უჩასტკაში“ წაუყვანია ხონელიძე და ნაცვლიშვილი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი თურმე შემდეგ ბროშიურას: „ჩემი თაიგული“ კითხულობდენ...

*** **მძარცველობა.** როგორც გადმოგვცემენ, ამ ბოლო ხანად ძალიან გახშირდა სხვა-და-სხვა ფირმით მძარცველობა; ზოგიერთ ვაჟბატონთ დაქვთ თურმე რაღაც წერილები და ხალხში ფულებს აგროვებენ—ვითომ-

და ორგანიზაციების სასარგებლოთ, მაგრამ ნამდვილად-კი თავინთ ჯიბისთვის! ნეტავი, როდის მოეღება ბოლო ხალხის ამდენ ყვლეფას?!

*** 14 ივლისს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსნების არა ჩვეულებრივი კრება; კრებამ უნდა განიხილოს ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.

სასურველია, რომ ყველა ხმოსნები დაესწრებოდეს ამ საკითხის განხილვას.

*** **კაზაკების თარეშობა.** როგორც ჩვენს მკითხველთ მოეხსენებათ, კაი ხანია, რაც ქუთაისში სამხედრო წესებია გამოცხადებული და შებინდებისათანავე ადგილობრივი მცხოვრებნი „ქუდ-მოგლეჯილი“ გარბიან თავიანთ სახლებში, მაგრამ ვითომ და წესიერების დამცველ კაზაკებს მაინც არ აკმაყოფილებს ქუჩის ასეთი სამარისებური სიჩუმე და ვისაც მოახელებენ ოდნავ შებინდების დროსაც-კი, ჯიბის „რევიზიი--ს შემდეგ, ხშირად მათრახსაც ხმარობენ და...

*** გაზ „ჩერ. ვესტ“. კერძო ცნობებიდგან გაუგია, რომ პეტერბურგში დაუტუსაღებიათ სახელმწიფო საბჭოს წევრი ი. გ. ჭავჭავაძე და სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ი. რამიშვილი.

კავკასია.

— როგორც „ახალ. ცხ.“ გადმოგვცემს, 10 ივლისს ელექტროტეხნიკ მუშების თხოვნაზედ, რომლებსაც უნდოდათ კრება გაემართათ პროფესიონალურ კავშირის მოსაწყობად, გენ.-გუბ. ტიმოფეევს უპასუხნია: „სამომარ დროის წესების მოხსნამდე არავითარი კრება ნებადაურთული არ იქნებაო“.

— იმავე გაზეთს ლენქორანიდან ატყობინებენ, რომ იქ დაუტყვევებიათ ხუთი ყაჩაღი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში იკლებდნენ და ცარცვავდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ.

— გორიდან იტყობინებიან, რომ იქ მოუკლავს ვიღაცა უცნობს მღვდელი დოლიძე.

— თფილისის ქალაქის 8 ნაწილის მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას გაგვანთავისუფლეთ უძრავ ქონებაზე არსებულ სახელმწიფო და საერობო გადასახადებიდანო.

— თფილისში 8 ივლისს საღამოს 10 საათზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა რკინის გზის სახელოსნოს მუშა სტეპან სიდოროვი. მკვლელი მიიმალა.

— მეტეხის ციხეში დატუსაღებულ ამხ. **ანდრონიკაშვილთან**, როცა მას თურმე ეძინა, შუაღამეზე მისულა ციხის ადმინისტრაცია და განუცხადებია თავისუფალი ხარო. ანდრონიკაშვილს აუღია თავისი ბარგი და გამოსულა. როცა ქუჩაში გამოუშვიათ, შორიახლოს უკან დასდევნებია უბნის ზედამხედველი, რომელსაც სატუსაღოს ცოტა მოშორებით დაუჭერია და ალექსანდროპოლისაკენ წაუყვანიათ. როგორც სჩანს, ციხის ადმინისტრაცია რაღაც ინციდენტს მორიდებია და ამიტომ უხმარია ასეთი ხერხი.

(„სიმართ.“)

— ს. ბუგეულში, (რაჭაში) მოუკლავთ აზნ. კონსტ. გიორგობიანი. შიცკალებული სამი დღე ეგდო თურმე გარეთ, პატრონს დამარხვა ვერ გაუბედნია. გიორგობიანს ჯაშუშობას აბრალებდენ თურმე.

8 ივლისს თბილისში აყჭალის ქუჩაზე ვიღაცამ მოჰკლა რკინის გზის სახელოსნოების ხელოსანი სიდორენკო. 10 ივლისს ნაძალადევში უცნობმა რევოლვერით მოჰკლა პოლიციელი სალტიკოვი. („შრ.“)

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

5 ივნისს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა კრება გამგეობის მოსამსახურეთა. კრებამ გაიცხა შარშან არჩეული მოსამსახურეთა დამხმარებელი კომისიის უმოქმედობა. აირჩია ახალი კომისია, რომელშიდაც რამოდენიმე ძველი კომისიის წევრებიც მოხვდენ, დააკალა შეემუშავებინა მოთხოვნილებები ქალაქის საბჭოსათვის წარსადგენათ და ეზრუნა მის განსახორციელებლათ. კრებამ კომისიას ვადათ 15 ივლისი დაუნიშნა...

11 ივლისს ხელ-ახლა დაიწყო მოსამსახურეების კრება. ერთმა კომისიის წევრთაგანმა კრებას გააცნო კომისიის მიერ შემუშავებული მოთხოვნილებების პროექტი. კრებამ ერთხმათ მიიღო ეს მოთხოვნილებები და დაადგინა: დაუყონებლივ წარედგინოს ქალაქის საბჭოს დასაკმაყოფილებლათ. მოთხოვნილებები შემდეგია:

1) ქალაქის გამგეობის ყველა დარგის მოსამსახურეებს შეუძლიათ (მაღალის და დაბალის) ისარგებლონ ბენეფისის, საჩუქრების, ერთდროული დახმარების და ჯამაგირების მომატების უფლებით.

2) ამ წლის (1906) პირველ იანვრიდან, გარდა იმ მოსამსახურეთა, რომელთაც ამ წელში ჯამაგირები მოუმატეს, მოემატოთ ჯამაგირები ქალაქის გამგეობის ყველა დაბალ და მაღალ ხარისხის მოსამსახურეებს შემდეგნაირათ:

ვისაც,	13—14 მანეთი აქვს	— 25%
„	15—25 მანეთამდე	— 20%
„	26—50 მანეთამდე	— 15%
„	51—75 მანეთამდე	— 10%
„	76—100—მანეთამდე	— 5%

ეს მომატებული ჯამაგირები უნდა შეტანილ იქნეს მდგომიაოე წლის ხარჯთ აღრიცხვაში.

3) ყველა დაბალ და მაღალ ხარისხის მოსამსახურეებს მიეცეთ ყოველ წელიწადს და საალაგმოოთ საჩუქრად, ვისაც საშობაოთ თვიური ჯამაგირი 50-მანეთამდე აქვთ—ჯამაგირის ნახევარი; ას მანეთამდი ვისაც აქვს -- მიეცეთ ჯამაგირის მეოთხედი; ას მანეთ ზევით ვისაც აქვს ჯამაგირი, მათ საჩუქარი არ მიეცეთ. ეს დადგენილება კომისიისა უსათუოთ შეტანილ იქნას მდგომარე წლის სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვაში.

4) დაევალოთ ქალაქის ექიმებს მოსამსახურეთა და მათ ოჯახობათა უსასყიდლოთ ექიმობა; მიეცეთ ქალაქის მოსამსახურეებს ქალაქის აფთიაქიდან უფასოდ წამალი, და თუ საჭიროება მოითხოვს, დაეთმოთ ეგრეთვე ქალაქის საავადმყოფოში უფასოთ საწოლი და ექიმობა.

5) მიეცეს ყოველ მოსამსახურეს წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირის შენახვით.

6) ავადმყოფობის დროს მიეცეს ყველა მოსამსახურეს სამი თვის განმავლობაში სრული ჯამაგირი, შემდეგ კი სამთვეს უჯამაგიროთ შეენახოთ ადგილი.

7) როგორც დაბალი, აგრეთვე მაღალი ხარისხის მოსამსახურეთა მიღებას, დათხოვნას, სამსახურში დაწინაურებას, გამგეობა ახდენს მოსამსახურეთა კომისიის თანხმობით.

8) ყველა იმ მოსამსახურეთა შვილები, რომელთა ჯამაგირი 50 მანეთს არ აღემატება, უფასოდ იქმნან აღრზდილნი იმ სასწავლებლებში, რომლებიც ქალაქის ხარჯზე ინახებიან

9) დაევალოს მოსამსახურეთაგან არჩეულ კომისიას იზრუნოს ქალაქის გამგეობაში ჟურნალ-გაზეთების შეძენაზე და მათ მენახვაზე

10) მეფარნეებს მიეცეთ თვეში ოითოს ერთის მაგიერ სამი ათეული წუმწუმა.

ფეილეტონი

Ჯ. ᲙᲐᲣᲪᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Ს. Ს. Დ. Მ. Პ. ᲨᲔᲛᲐᲔᲠᲗᲔᲑᲔᲚ „ᲡᲘᲔᲖᲓᲘᲡ“ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ძვირფასო იმხანაგებო! მხურვალე მადლობას გიძღვნით მოწვევისათვის. ჩემდა სამწუხაროთ, საჩქარო სამუშაო არ მაძლევს ნებას ეხლავე წამოვიდე, ცოტა ხნის შემდეგ წამოსვლა კი ნიშნავს დაგვიანებას. ამასთანავე რუსული ენის უცოდინარობა არ მომცემს საშუალებას მოვისმინო თქვენი კამათი და გამოვიტანო ჩემთვის საჭირო ცნობები, რომლებიც ჩემთვის აუცილებლათ საჭიროა.

ამნაირათ, არ იფიქროთ, რომ ჩემი წამოუსვლელობის მიზეზი თითქოს ის იყოს, რომ მე არ მეინტერესება და გულით არ მსურს თქვენი კამათის მოსმენა. პირიქით, ჩემის აზრით, ამ წელს არც ერთი „სიეზდი“ არ მოიპოვება ასეთი, რომლის გადაწყვეტილებებს მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისთვის, რ დგანაც ამ ჟამათ რუსეთში წყდება ბედ-ილბალი მსოფლიო საერთა-შორისო მოძრაობის.

არა მარტო იმიტომ დგას თქვენი „სიეზდი“ სხვებზე მაღლა, რომ იქ გადასაწყვეტი კითხვები ძლიერ სერიოზული; ამ კითხვაზე გარკვეული პასუხის მიცემის სიძნელე თქვენ „სიეზდს“ მაღლა აყენებს სხვა სოციალდემოკრატიულ „სიეზდებზე“. რუსეთის სოციალდემოკრატიას, ვიდრე სხვა რომელიმეს, აქვს საქმე ორგანიზაციულათ მოუწყობელ გამოუცდელ და უდისციპლინო მასასთან; რუსეთში, როგორც მე მგონია, უფრო, ვიდრე სხვაგან სადმე, გადამწყვეტ როლს თამაშობს უცაბედი შეცვლა სულიერი მდგომარეობის, მოულოდნელი სტიქიური მოძრაობა და აფეთქება. ამისთანა პირობებში ძლიერ ხშირათ პირქვე იმხობა წინასწარ მოფიქრებულ გამოანგარიშებული გეგმები და შეუძლებელი ხთება უცვლელი, ერთხელ და სამუდამოთ შემუშავებული ტაქტიკა ამიტომაც ტაქტიკა უნდა იყოს ელასტიური, გარემოების შესაფერისი; რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთანა შემთხვევებში საუკეთესოთ გამოყენებას ყოველ სიტუაციის! მაგრამ სწორეთ ტაქტიკა გამომუშავების სიბნელეს ისიც ერთვის, რომ ჯერ არ ყოფილა ისეთი რევოლიუცია, რომ იმდენ წინააღმდეგობას წ რმოადგენდეს, როგორც რუსეთის; ეს რევოლიუცია არსებითად უნდა იყოს და არის კიდეც ბურჟუაზიული, ხთება კი იმ ხანაში, როდესაც მთელ დნარჩენ ევროპაში შესაძლებელია მხოლოთ სოციალისტური რევოლიუცია. ბურჟუაზიული რევოლიუცია იმ დროს, როცა ყოველნაირი ბურჟუაზიული იდეალი სრულიათ გათახირდა, ბურჟუაზიულ დემოკრატიას დაეკარგა ყოველგვარი რწმენა თავის თავის, როცა მხოლოთ სოციალიზმის ნიადაგზე შესაძლებელია აყვავდეს იდეალები, განვითარდეს ენერგია და ენტუზიაზმი.

ბურჟუაზიული რევოლიუცია, რომელსაც ახთენს სოციალისტური პროლეტარიატი, ბურჟუაზიის შეურიგებელი მტერი, რომელსაც ახთენს გლეხობა, რომლის რევოლიუციონური ეროობა არსებითად გამოიხატება მხოლოთ ფეოდალურ წესწყობილების წინააღმდეგ ამხედრებაში და რეაქციონურ აშფოთებაში თანამედროვე ეკონომიურ განვითარების ტენდეციების წინაამღმდეგ.

თუმცა რევოლიუციის გამარჯვებისათვის აუცილებლად საჭიროა გლეხობა, მაგრამ მასთან კავშირი საიმედო როდია.

ყველა ამგვარ სიძნელისა და წინააღმდეგობის გამო წარმოდგება თვით ჩვენ პარტიაში სხვა და სხვა გვარი შეხედულება ჩვენ ტაკტიკაზე და ჩვენ უახლოეს მიზანზე, ეხ სხვა და სხვაობა მით უფრო რთულდება, რომ რუსეთის სახელმწიფო სივრცით ვეებერთელა რამ არის და ცალკენაწილებში დიდი სხვა და სხვაობაა ეკონომიური, ნაციონალური და პოლიტიკურ პირობების.

მით უფრო დიდი ყურადღებით ველოდებით ჩვენ დასავლეთ ევროპაში თქვენი მუშაობის შედეგებს და გიძღვნით გულწრფელ სურვილს, რათა შეგძლებოდეთ რთული საკითხის გადაწყვეტა, დროს შესაფერი ელასტიური ტაქტიკის გამომუშავება ისე, რომ არ შელახულიყოს პრინციპების, ორგანიზაციის და გამოსვლის მთლიანობა.

მაგრამ, მიუხედავათ დიდი სიძნელისა და შეხედულებათა განსხვავებისა, ყველანი შეთანხმდებით იმაში, რომ რა ტაქტიკაც უნდა იქნეს მიღებული, რა გვარი გამოსვლაც უნდა იქნეს განზრახული, მისი გამარჯვების თავდებია—მაგარი და ძლიერი ორგანიზაცია. თუ ამისთანა ორგანიზაცია არ იქნა, ძლიერ ბრძნული ტაქტიკაც ჩაქვავდება.

თუ ძლიერი ორგანიზაცია იქნება, მაშინ შედარებით ნაკლები ტაქტიკაც დიდ ნაყოფს გამოიღებს. პროლეტარული ორგანიზაციის განვითარება არის კატეხიზმო ყოველ პროლეტარულ მოძრაობისა.

ამ მხრით, ჩემი აზრით თანამედრო-

ბოგანო.

უსახლ-კარო, ლატაკი,
ძველებში გამოხვეული,
ხელ-დაკოჟრილი, ფერ-მკრთალი,
თითქმის ძვალ-ტყავათ ქცეული,
ქარხნის მოწამლულ ჰაერში
ალამებს, ოფლს ღვრის შრომაში
და თანვე ფიქრობს ბედკრული
ჩანთქმული შავ ფიქრთ გროვაში:
„რა ვარ მე? მუშა ბოგანო,
რა მქვია?—სხვისთვის მშრომელი,
ჩემით სხვა იძენს, მდიდრდება,
მე ლუკმას ვნატრობ დღე-ბნელი!
მერე რათ ხდება ეს ასე,
ის „სხვაც“ ხომ ჩემისთანაა?...
ეჰ, ჯობს დავეხსნე ამ კითხვას,
ეს ძნელი გამოცანაა!
მაგრამ ეს რა ვთქვი? ფუ, ჩემს თავს!
დროა მოვიდე ჭკუა-გონს,
ავხსნა, შევიგნო ყოველი
და შევებრძოლო ჩემს „ბატონს“.
და, ტანჯვის ცეცხლში ნაწრთობი,
ძალ-ღონეს იკრებს, მხნევდება,
ხელს აძლევს მისებრ ჩაგრულებს
და მტკიცეთ უკავშირდება:
რომ გაიკაფონ მიზნისკენ
გზა ნარ-ეკალით მოსილი,
ეწვიონ „აღთქმულ ქვეყანას“
სრულიად ძლევამოსილი...

ვ. ჩახ-რუხაძე.

პროვინცია.

ჭიათურა. როგორც „ლამპარში“ და „სიმართლეშიდაც“ წაიკითხავდა მკითხველები, აქაური გაფიცვა სრულის გამარჯვებით დასრულდა. გაიგეს ეს თუ არა, იმდენი საბუშაოს მძებნელი მოაწყდა, რომ ნახევარსაც ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი ბაზარი. ამით ისარგებლეს ადგილობრივმა ესერებმა, (რომელნიც ორი კვირაა რაც გამოჩნდენ) და დაიწყეს „აგიტაცია“ უსაქმოდ დარჩენილ მუშებშიდ: „გადმოდით ჩვენკენ და ჩვენ გიშონით სამუშევარს, სახარჯოსაც მოგცემთ და ყოლიფერსო“. ამასთანავე ამხედრებენ უმუშევარ მუშებს მომუშავეებზედ: „იმათ მიაქვსთ ყველა სამუშევარი და თქვენ სულ ულუკმა პუროთა ხართ, ეს არის ამხანაგობაო“?! და სხვა... ასე უნდათ აამღვრიონ წყალი და შიდ თევზები დაიჭირონ, მაგრამ ჩვენ კი გვგონია, რომ ამით სულ წინააღმდეგს მიაღწევენ; მხოლოდ ამას კი ვიტყვით, რომ ასეთ მოქმედებას ცოტა არ იყოს პროვოკაციის სუნი უდის. „ხაზეინებმა“ როდესაც გაფიცვა დასრულდა წერილობითი პირობები დადვეს, რომ ისინი აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებას, მაგრამ ეხლა ზოგიერთმა მათგანმა ჩვეულებრივ ხრიკებს მიმართეს; მაგ. კალისტრატე ჩერნევსკი ეუბნება თავის მუშებს: თუ ნარდათ არ იმუშავეთ ყველას დაგითხოვთო, ნოქრებს უბრძანებს: თუ საღამომდი არ იმსახურეთ **убирайтесъ къ чорту**“-ო. ზრდილობიანი მოპყრობაც ასეთი უნდა! ბაგრამ ავიწყდება მას, რომ ამითი მას მოელის წარმოების დახურვა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ეს ვაჟბატონი ნამუშევარ ქირას დიდხანს უჩერებს მუშებს, და თუ ვინმეს რამე გამოართვა მიცემა აღარ ახსოვს „კუზიანს სამარე გაასწორებსო“ რომ იტყვიან, სწორეთ ამ ვაჟბატონზედ ითქმის. სოლომონ წერეთელმა,—ამ ტიპიურმა მეტყავემ, როდესაც მას ადგილობრივმა ნოქართა პროფესიონალური კავშირის ბიურომ ნოქრების სია მოთხოვა, სადაც უნდა აღენიშნა: რამდენი ყავდა ნოქარი, რა ეძლეოდათ წინეთ, და რამდენი ეძლევათ ახლა პროცენტების მომატებით,—მან შემდეგი ხრიკი იხმარა: სიაშიდ ზოგიერთ ნოქრებს ძველ ჯამაგიდზედ დაუკლო—ზოგს 20 მ. ზოგს 15 მ. თვეშიდ, და ზოგიერთიკი, სულ არ იცნო „კანონიერ“ ნოქრათ და სიას შენიშვნები გაუკეთა: „ეს თუმცა ნოქარია, მაგრამ მადნებში მყავს „ჩეკის კაცად“, მან როგორც მუშამ ისე უნდა იმუშაოს“ და სხვა... ეს იმიტომ დასჭირდა წერეთელს, რომ ვინც არ მოეწონოს (რა საკვირველია ჯამაგირის მომატების მიზეზით.) შეუძლია დაითხოვოს, როგორც დღიური მუშა და აღარ გადიხადოს ის 4 თვის ჯამაგირი, რომელიც ვალდებულია მისცეს, ამაზედ კავშირის ბიურომ უპასუხა, რომ ასეთი ხრიკებით ის ვერას გახდება, გარდა იმისა რომ მუშაობა დაეხურება, და თუ ხელახალ სიას არ წარმოადგენს ამ დღეებშიდ, მის წარმოებას შეჩერება მოელის.

ვნახოთ რას იზამს წერეთელი, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამითი მან მის ნოქრებს კი არ გ მოუცხადა ბრძოლა, არამედ მთელ კავშირს, და უნდა ახსოვდეს, რომ მთელი კავშირი, როგორც ერთი კაცი ისე დაუჭერს მხარს ამხანაგებს. ეს კარგად იცოდეს წერეთელმა.

მართლის მთქმელი.

—

ქუთაისი. 12 ივლისს, საღამოს ქუთაისში მეპურეთა კრება გაიმართა. კრებამ თავის ჭირ-ვარამის გარდა, იქონია-რა მსჯელობა დღევანდელ მწვავე პოლიტიკურ მომენტზედ: დაგმო მრავალი ხნობით დაგმობილი და გაკიცხული მთავრობის ვერაგული პოლიტიკა, ზიზღით მოიხსენია ის პირები, რომელთა ინიციატივით დუმა დაიშალა. სალამი უძღვნა მთავრობის-მიერ შეურაცყოფილ სათათბიროს და ამხ. დეპუტატებს შემდეგი სიტყვებით: „თქვენი შეურაცყოფა, ამხანაგებო, ჩვენი შეურაცყოფაა, თქვენზედ მორტყმული პანღური—ეს ჩვენი პანღურია, თქვენი გამორეკა სათათბიროდან, ჩვენი უფლებების ამოდ, მასხარად აღებაა! ნუ დაიშლებით, ამხანაგებო, განაგრძეთ ბრძოლა, ჩვენ მოვითხოვთ აღსდგეს სათათბირო და კვლავ გადიქცეს ის სახალხო თავისუფალ ტრიბუნათ, საიდანაც მოვისმენთ მჭექარე ხმას—დამანგრეველს ძველისას და ახალის მომასწავებელს! იბრძოლეთ, იბრძოლეთ ჩვენ თქვენთანა ვართ!“.

ქუთაისში ამ ჟამად გაძლიერებული პატრულები დადიან, გუშინ ორ სოფლელს „ობისკი“ უქნეს, მაგრამ ვერა ვუნახეს-რა. პოლიტიკური ტუსაღები ქუთაისის ციხეში „голодовка“-ს შემდეგ ძალზედ დასუსტებული არიან. ამ დღეებში ქუთაისის ციხიდან თანდებლის ქვეშ რამოდენიმე ამხანაგს გაანთავისუფლებენ, მათ შორის იასონ ჩიხლაძესაც. სათათბიროს დახურვის შემდეგ სოფლელები სპეციალურად ჩამოდიან და კითხულობენ ქუთაისში: „მართლა დახურეს სათათბირო, გაგვაგებიეთ ამას რა მოყვება, როგორ ვიმოქმედოთ?!“ რჩევა დარიგების შემდეგ სოფლელები დაძმარებული სათათბიროს დახურვის გამო, სოფლებშივე ბრუნდებიან.

ილია ბახტაძე.

რუსეთი

ცნობილ სოციალ. დემ. ბაუმანის მკვლელი—ი. მიხაილინი რამოდენიმე ათას მანეთს, რომელიც მან მონარხისტების პარტიისაგან მიიღო ბაუმანის მოკვლისათვის, არ დაჯერებია და სხვის ხივთებს უსირცხვოთ ითვისებს. ამას წინათ მიხაილინი სამოვრის მოპარვისთვის დაუჭერიათ. როდესაც მოსამართლეს უკითხავს სამოვარი სად მოიპარეო, მას განუ-

---

ვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე ცხოვრებიდან წამოყენებულ კითხვებს აქვთ რამდენადმე მსგზავსება იმ კითხვებთან, რომელნიც უდგენ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას 30 წლის წინათ, რასაკვირველია მსგზავსებასთან ერთათ არის დიდი განსხვავებაც სიტუაციაში, მაგრამ მდგომარეობა ჩემი წარმოდგენით ემგზავსება იმით, რომ 30 წლის წინათ ავსტრიაში მთავრობა შეუძლებელათ ხედა პროლეტარიატის ყოველ-გვარ პოლიტიკურ ორგანიზაციას, მოთხოვნილელბა კი პროლეტარიატის ამ გვარ ორგანიზაციაში მეტად მწვავე იყო; კონსპირატიული ორგანიზაცია ვერ იტევდა მასებს, ლეგალური კი შეუძლებელი იყო. რა უნდა ექნათ?

ჩვენ შევაერთეთ კონსპირატიული ორგანიზაცია ლეგალურთან. ამხანაგები სრულიათ ლეგალურათ აარსებდენ პროფესიონალურ კავშირებს და სავათმყოფო კასებს. მაგრამ ამგვარ ორგანიზაციების წევრებში ზრდიდენ სოციალისტურ სულს. შემდეგ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები საიდუმლოთ იკრიბებოდენ და ამ გვარათ ყველგან არსდებოდა კონსპირატიული კოლექტივები, რომლებიც ლეგალურ ორგანიზაციებს ქმნიდენ ერთ პოლიტიკურ ორგანიზმათ და ეს ლეგალური ორგანიზაციები მოქმედობდენ ერთობრივათ და წინასწარ შემუშავებულ გეგმის თანახმათ. სხვა და სხვა ადგილებთან კავშირდებოდენ ერთმანეთში დრო გამოშვებითი საიდუმლო „სიეზდებით“; მუდმივათ ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთის შემწეობით. ეს გაზეთი ემსახურებოდა არა მარტო პროპაგანდის საქმეს, ის ორგანიზაციის იარაღიც იყო თვითეულ ადგილს, საცა პარტიული ორგანიზაცია იყო, რედაქციას ჰყავდა საკუთარი კორესპონდენტი; ის იყო რწმუნებულ პირათ ადგილობრივი ამხანაგებისაგან არჩეული. ამ რიგათ ცენტრალურ ორგანოს რედაქცია გახთა ცენტრალურ პუნქტათ, საცა თავს იყრიდენ ყველა ორგანიზაციის ძაფები; რედაქცია გადაიქცა პარტიის ნამდვილ ხელმძღვანელათ. ის იცნობდა პარტიული ცხოვრების მიმდინარეობას ყველა კუთხისას: ყოველი ადგილიდან მოდიოდა ცნობები, ყველას აძლევდა შესაფერ ახსნას და განმარტებას. ამგვარი პოლიტიკური ორგანიზმი, რომელსაც ცალკე საიდუმლო წესდება არ ესაჭიროებოდა, რომელიც ვითარდებოდა სრულიათ ძალდაუტანებლათ, იმ დროებაში გამოდგა მიუდგომელ სიმაგრეთ და საკმაოთ ძლიერი მთელ მხარეში საერთო პარტიული პოლიტიკის დასამყარებლათ.

ამნაირათ, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია აკრძალული იყო, მაინც შესაძლებელი გახთა პარტიული ორგანიზმის შექმნა, რის შემწეობითაც ორგანიზაციულათ შეიკვრენ ფართო მასები.

ლეგალურ პრესას და ლეგალურ ეკონომიურ ორგანიზაციებს მიემატა კონსპირატიული-აპპარატი. ამგვარათ გამოყენებულ იქნა პარტიის დასაარსებლათ. და თუ ახლა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას შეძლება აქვს აშკარათ მოაწყოს ორგანიზაციები, ამის ახსნა უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ მთავრობამ და პოლიციამ ვერაფერი მოუხერხეს ჩვენ საიდუმლო ორგანიზაციებს; ბოლოს ისინი იძულებულნი გახთენ შერიგებოდენ იმას, რის დაძლევა ვერ მოახერხეს.

გამბედაობა და დისციპლინა გახდა იმ იარაღათ, რომლის მეოხებით ავსტრიის პარტიამ ძირი გამოუთხარა ბიუროკრატიულ აპპარატს.

რასაკვირველია, რუსეთის მდგომარეობა სავსებით იმნაირი რიდია, როგორც 30 წლის წინათ ავსტრიაში იყო. პირველათ ყოვლისა ის დიდი განსხვავებაა, რომ რუსეთში მოძრაობას რევოლიუციონური ხასიათი აქვს, იქ საქმე მისულია იმ წამამდის, როცა უფსკრულისკენ პირ მიბრუნებული რეჟიმი უკანასკნელ ძალ-ღონეს ხმაროს თავის სახსნელათ. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ბრძოლის საშვალებების განსხვავება ამ გარემოებით გამოწვეული, აქედან იმ დასკვნის გამოიყვანა მაინც არ შეიძლება, რომ ორგანიზაციის ფორმებშიც დიდი ღრმა განსხვავება უნდა მოხთეს, მაგრამ მე არ შემიძლია განსაკუთრებით დავაწვე ამ პუნკტს, რადგანაც მე ბერლინიდან მოშორებული ვარ სამოქმედო ასპარეზს და ყოველთვის ორგანიზაციის პრაქტიკულ კითხვებს გვერდზე ეღექი ხოლმე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თქვენ დარწმუნებული უნდა იყვეთ, რა გვარ გადაწყვეტილებასაც დაადგებით, ჩვენ. გერმანიაში მხურვალე სიმპატიით და ძლიერ დიდი აღფრთოვანებით თვალყურს ვადევნებთ თქვენ ბრძოლას. ჩვენ მხურვალეთ ვესწრაფით იმ ჟამის დადგომას, როცა ხელი ხელ გაყრილი ქკენთან ერთათ შევძლებთ ბრძოლას.

მხურვალეთ გისურვებთ ნაყოფიერათ დაგვირგვინებულიყოს თქვენი მუშაობა და მაგრათ ხელს გიჭერთ.

თქვენი კ. კაუცკი.

ცხადებია: „მივდივარ ქუჩაზე, ვხედავ სამოვარი დგას; ვიფიქრე ვისი უნდა იყოს მეთქი?! ავსწიე და გზას გაუყენე“. მოსამართლის კითხვაზე: „იყო თუ არა ის როდისმე პასუხის გებაში მიცემული“ მიხაილინს უპასუხნია: „არასოდესო“. მოსამართლეს მიხაილინი შემთხვევითი ქურდობისთვის ოთხი თვით ციხეში დაპატიმრებით დაუსჯია.

—

კიევში ამას წინად შემთხვევით დაუჭერიათ ორი ფუთის სიმძიმე ყუთი, შავრაზმელთა ლიტერატურით. ეს ლიტერატურა პეტერბურგიდან ყოფილა გაგზავნილი, ვიღაც ი. ვლასოვისაგან (იზმაილოვიჩის პოლკის 4 როტა, სახლი № 6, ბინა № 27) შემდეგ ადრესზე: კიევში, 125 პოლკში. ყუთში ლიტერატურას გარდა 115 ხემწიფის სურათი აღმომჩდარა. ყუთის გახსნის დროს პოლიცია დასწრებია.

როგორც ეტყობა შავრაზმელები შარშანდელ ისტორიას იმეორებენ. შარშან გარეშე მტრებთან ომის დროს წმინდანების ხატებს ვაგონებით ატანდენ ადმირალებს — ეგების გაიმარჯვონო; ეხლა კი „შინაურ მტრებთან“ ბრძოლაში მეფის სურათებით მოუსურვებიათ გამარჯვება ხულიგანებს.

—

სიდუმლო აგენტებს 27 კაცი მიუმატეს პეტერგოფში. ტრეპოვს 26 აგენტი ყავს მიჩენილი. გარდა ამისა 200 ჯაჯუში საზღვარგარეთ გაუგზავნიათ; ვიტეს და დურნოვოს კარგა ბლომათ ყავთ რუსეთიდან წაყვანილი ჯაშუშები.

— გასულ კვირაში, რამდენიმე დღის განმავლობაში 19 სალდათი შეიპყრეს პეტერბურგში.

—

გოროდოვოების მდელვარება. პეტერბურგში გოროდოვოებშიაც დაიწყო მღელვარება. 1 უბნის გოროდოვოები გაიფიცნენ და გამოაცხადეს: მანამ არ გავალთ ჩვენ პოსტებზე, სანამ ემერიტალურ კასაში შენახულ ფულს არ დაგვიბრუნებთო. უფროსები ბევრს ემუდარენ, ბევრს ეხვეწენ, მარა ვერას გახდენ: გოროდოვოები არ გავიდენ სამსახურში. გარდა პირველი უბნისა სხვა ნაწილებშიც დაიწყო მღელვარება. გოროდოვოებმა გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ თავიანთ ამხანაგების სამართლიან მოთხოვნას. „ახ. ცხ“.

—

როგორც ტირასპოლიდან იტყობინებიან, იქაც გაუგზავნია შავრაზმელთა ლიტერატურის ტრანსპორტი, მეშვიდე კორპუსის ნაჩალნიკს, სალდათებში გასავრცელებლათ.

მაზრაში კი მღვდლები ეწევიან ხულიგანურ აგიტაციას ებრაელებსა და სათათბიროს წინააღმდეგ.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩემს მცირე შენიშვნას. მე ძლიერ მაკვირვებს, ბ. ლანჩხუთელი კორესპოდენტის „შიკრიკის“ მეორე ნომერში მოთავებული ცილის წამება. ვითომც ანდრია მიქიაშვილი (ბოქაული) სოციალისტ-რევოლიუციონერების ასის თავათ ყოფილიყოს არჩეული. საიდან და როგორ შეთხზა ბ. კორესპოდენტმა ასეთი სიცრუე, ან და რისთვის დასჭირდა მას ასეთი ჭორები და ცილისწამება? მიზეზი უთუოთ ბ. კორესპოდენტს ეცოდინება, ჩემთვის-კი გაუგებარია. ბ. ლანჩხუთელო კორესპოდენტო, გთხოვთ დაასახელოთ: რომელ რაიონში იყო ხსენებული პირი ასის თავათ არჩეული და ან რა დოკიდებულობა ქონდა მას სოციალისტ-რევოლიუციონერებთან? მე ვამტკიცებ, რომ არავითარი.

ბ. კორესპოდენტო, ვგონებ თქვენ კი უნდა იცოდეთ, რომ ს. რ. დაუძინებელი მტრები არიან მაგისთანა პირების და მათთან არასოდეს არავითარი კავშირი არ ქონიათ და არც ექნებათ. ასეთ დახავსებულ ელემენტებთან ს. რ. საერთო არ-ფერი აქვსთ. დაასახელეთ, ბ. ლანჩხუთელო კორესპოდენტო საბუთები ზემო აღნიშნული ცილისწამების დასამტკიცებლათ, რომ მით ჩვენ საშუალება გვექნეს სიმართლის გამოსარკვევათ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი სიტყვები უკანვე დაიბრუნეთ.

მუშა სან-რავ.

—

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზ. „შიკრიკის“ მახლობელ ნომერში.

5 ივლისს მოვიდა ჩემთან ქუთ. მსახ. ზარდალოვი და ჭიათურის ადგილობრივი რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის სახელით მთხოვა მონაწილეობა მიმეღო წარმოდგენაში. რომელიც უნდა გაემართათ 9 ივლისს დ. ჭიათურაში, ადგილობრავი ორგანიზაციის სასარგებლოდ. როდესაც მე ზარდალოვის ნათქვამზე ეჭვი შევიტანე და უთხარი, რომ ორგანიზაციის სასარგებლოთ არ იქნება და მე კი ისე სცენაზე არ გამოვალ მეთქი, მაშინ მან დამიწყო რწმუნება სინდისის და პატიოსნების ფიცით, რომ მას დაავალა ორგანიზაციამ ჩვენთვის ეთხოვა და მასთან ისიც დაუმატა: „თუ მე პირადათ რამეს ვიღებდე თამაშისთვის უსინდისო კაცი ვიყოვო“. მეც ამდენი ფიცის შემდეგ, რასაკვირველია, დავეთანხმე. რადგან ჩემი მისწრაფება ის არის, რომ რითაც კი შემიძლია დახმარება გაუწიო ყველა იმ ორგანიზაციებს, რომელიც რ. ს. დ. მ. პ. ხ ლმძღვანელობით მოქმედებს. მე და ჩემი ორი ამხანაგები სრული დარწმუნებული გავემგზავრეთ ჭიათურაში, მაგრამ, როგორც შემდეგში აიხსნა, ზარდალოვისთვის მის ჯიბეს უფრო დაუვალებია ჩვენი მონაწილეობის მიღება წარმოდგენაში, ვინებ ორგანიზაციას და ორგანიზაციის სახელით მოციქულობა მისთვის უკისრნია, რომ რაც შეიძლება ხარჯზიდ იოლად გამოსულიყო და მეტი სარგებლობა დარჩენოდა იმ ფულიდგან, რომელიც ორგანიზაციას უნდა მიეცა მისთვის. აი საქმე რაში ყოფილა: წინა დღეებში ჩასულა ზარდალოვი ჭიათურაში, გარიგებია ორგანიზაციის წევრებს 55 მან. თავის ხარჯით ჩაიყვანოს, ვითომდა, დაქირავებული დასი რვა კაცისაგან შემდგარი, რომელთაც, ვითომ, გამოსასვლელი ქირა უნდა მიეცეს თითოს 3 მან., ამ ანგარიშის მიხედვით ისინიც დასთანხმებიან... მე არ შემიძლია გულ-გრილად შევხედო, პირველად, ორგანიზაციის სახელით სარგებლობას და მეორეც, ჩემს მოტყუილებას და ჭიათურის მუშების თვალში დაქირავებულ მოღვაწეთ გამოყვანას. ამისთვის საყვედურს უცხადებ ბ. ზარდალოვს ასეთ საქციელისთვის და ვაფრთხილებ ჩემს ამხანაგებს, რომ შემდეგში მათგანაც არ ისარგებლონ ორგანიზაციის სახელით. აქამდის არ მჯეროდა, როდესაც ზოგიერთი ჩემი ნაცნობები შემომჩივლებდენ: „ორგანიზაციის და პარტიის სახელით ბევრი სარგებლობსო, რომელსაც მეთაურები სულაც ვერ ტყობილობენო“. მაგრამ, დღეს არ შემიძლია არ დავიჯერო, როდესაც ჩემს თვალ წინ ისარგებლეს პარტიის სახელით.

პეპილო.

დეპეშები.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12—13 ივლისი.

პეტერბურგი. შავი ზღვის ფლოტის უფროსათ დაინიშნა ადმირალი სკრიდლოვი. გრადონაჩალნიკის განკარგულებით დაიხურა ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალური კლუბი. შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭო; სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გადასწყვიტა: იმოქმედოს მუშათა დეპუტატების საბჭოსთან ერთად. დაიხურა გაზეთი: „სოვრემენაია ჟიზნი“.

ოდესა. არეულობის დროს პოგრომშჩიკებმა გამოგლიჯეს ხელიდგან პატრულებს თოფი და რამდენჯერმე გაისროლეს ებრაელების მხრივ; მოკლულია ორი და დაჭრილია ოთხი; გაისრისა ერთი ქალი და ერთი ბავშვი; ებრაელთა უბნები შიშით არის მოცული პოგრომჩიკების თავგასულობით; დღეს 5 საათზე არეულობამ და ჟლეტამ ისევ იმატა; ქუჩებზე თოფის სროლაა და შეტაკება კაზაკებთან; ებრაელების მხრივ არის დახოცილები და დაჭრილები, გამოიწვიეს მრავალი სანიტარული ნაწილები.

პეტერბურგი. საზოგადო მოღვაწეთა კლუბში, სახელმწიფო საბჭოს წევრების ცენტრის პარტიაში გაირჩა კითხვა, რომ აუცილებელი საჭიროა საზაფხულო კანიკულები და ამ კანიკულების დროს პარტიის ბიურომ არ უნდა შესწყვიტოს არსებობა, რომელიც გამოგვადგება მომავალ საგაისო არჩევნებისათვის. ამავე კლუბში გრაფ გეიდენის თაოსნობით შეიკრიბნენ 30 ყოფილნი მემარჯვნე სათათბიროს წევრნი ხალხისადმი მოწოდების შესადგენად; ამ მოწოდებაში გეიდენი და მისი თანამოაზრეები ურჩევენ ხალხს: დამშვიდდნენ და მოთმინება იქონიონ მომავალი წლის არჩევნებამდე; სახელმწიფო საბჭოს წევრთა ცენტრის ჯგუფმა შიპოვის და ტრუბეცკოის თაოსნობით გადასწყვიტა: იყოლიონ მუდმივი კომიტეტი, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ გორიზონტის მიხედვით მოიწვევს საზოგადო კრებებს.

გზათა მინისტრი შეეკითხა რკინის გზის ლიანდაგების უფროსებს; მღელვარება ხომ არ არსებობს რკინის გზის მოხელეთა შორისო; თითქმის ყველა უფროსებისგან მიიღო ცნობა, რომ მოხელენი დამშვიდებული არიან. 200 ყოფილ სათათბიროს წევრნი გამოცხადდენ სახელმწიფო კანცელარიაში დღიურ ხელფრი ჯამაგირის მისაღებად, ვიდრე დათხოვნის დღემდე, რაც დაუყონებლივ მისცა კანცელარიამ.

დღეს დაიჭირეს გაზეთები: „რეჩი“, „ნაშა ჟიზნი“ და „სტრანა“, რადგან ამ გაზეთებმა დაბეჭდეს დეპუტატების მოწოდება ხალხისადმი. შეაჩერეს აგრეთვე გაზეთები „მისლი“ „ეხო“, „გოლოს ტრუდა“; „ქრესტიანსკი დეპუტატ“, „სევერნაია ზემლია“; დახურეს ყველა ხალხის თავისუფლების პარტიის კლუბები და მუშათა ჯგუფის კლუბი. გასჩხრიკეს მუშათა ჯგუფის სადგომები, მაგრამ ამაოთ. დაბეჭდეს „ნაშა ჟიზნის“ სტამბა. ყოველივე ეს ლონის-ძიებას ხმარობენ, რომ რკინის გზების ლიანდაგებზე არ მოხდეს საყოველთაო გაფიცვა, მაგრამ ყველა უფროსებისაგან მოდის ცნობა, რომ მოსამსახურეები არ მოდიან დაწესებულებებში; გუშინ საღამოს კერძო სახლში უკანასკნელად მოხდა კრება ხალხის თავისუფლების პარტიის ყოფილ სათათბიროს წევრთა.

მოსკოვი. დაიჭირეს სოციალ რევოლიუციონური კომიტეტი, რიცხვით 65 კაცი; ხმებია, ვითომ სოციალდემოკრატიული პარტია ამ ხანად გაფიცვების წინააღმდეგია.

პეტერბურგი. გამოვიდა გეიდენის, ლვოვის და სტახოვიჩის ხელ-მოწერილი მოწოდება ამომრჩევლებისადმი, რომლითაც ისინი აცხადებენ: დაუყონებლივ დაემორჩილონ მეფის ნებას და იწვევენ ამომრჩევლებთ იქონიონ გავლენა და ურჩიონ ხალხს დამშვიდებით მოცდა, რადგან ეხლანდელი ხალხის თავ-დაუჭერლობას შეიძლება მოყვეს მთავრობის მხრივ სასტიკი ზომები. პუტილოვის ზავოდის მუშებმა ცხარე კამათის შემდეგ, რაიონებმა დამშვიდებით დაიშალნენ; გაფიცვების ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა ცნობა ყველა ზავოდების და ფაბრიკების მუშებს, რომ ეხლა საჭიროა თავი შეიკავონ და პოლიტიკური გაფიცვა არ მოახდინონ. ამისთანა ცნობები გაუგზავნეს რკინის გზის კავშირებს და ლიანდაგზე მომუშავეთ. ადმირალი სკრიდლოვი წავიდა სევასტოპოლში. დანამდვილებით გაუგიათ, რომ ადმირალი როჟდესტვენსკი ოტსტავკაში გადის. კაპიტანი კლადო დაუბრუნდა სამსახურს საზღვაო უწყებაში

თბილისი. ლენქორანიდგან იტყობინებიან, რომ პოლიციამ დაიჭირა ხუთი ავაზაკი, რომელთაც 15 წელიწადია აკლებული ქონდათ ლენქორანის მაზრა; დაჭერის დროს მოკლულ იქმნა ერთი ავაზაკთაგანი.

ვარშავა. რკინის გზების ლიანდაგებს იცავს ჯარები; მღელვარება არ ეტყობა:

დმიტროვსკი. დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მამულში, რომელიც ეხლა საუფლისწულოა, მოხთა გლეხთა აჯანყება; დასამშვიდებლად წავიდა ბოქაული კაზაკებით.

ეკატერინოსლავი. სცადეს საგუბერნიო საპყრობილის ჭიშკრის აფეთქება.

კერჩი. ტამოჟნის მოხელეს პუზირევსკის უცნობებმა ესროლეს ხუთჯერ, მაგრამ ამაოთ. ბოროტგამზრახველნი მიიმალნენ.

ბარაზი. ჟურნალი „Dedeba“ ქებით იხსენიებს მთავრობას, რომ მან შესძლო რევოლიუციის ჩაქრობა; გაზეთი აღიარებს: ეჭვიც არ შეიძლება ვიქონიოთ, რომ მთავრობა მოიწვევს ახალ სათათბიროს. დაბრუნება ძველი რეჟიმისაკენ შეუძლებელია.

ალოსლავი. სოფ. „ზაიაჩი ხოლმში“ შეიარაღებულმა მცარცველებმა დაეცნენ არყის სავაჭროს. გამყიდველმა ქალმა ასტეხა ყვირილი; მძარცველები მიიმალნენ.

რედაქტორ-გამომცემელი
ალ. გ. რუხაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ‘ კილაძისა და ი. ხელაძისა—ქუთაისში.